



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის  
ბრძანება

ქ. თბილისი



MES 0 20 0001098861



16/11/2020

**“2020-2021 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ“  
სტუ-ის რექტორის 2020 წლის 18 სექტემბრის №01-09-10/128 ბრძანების ცვლილების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს  
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „2020-2021 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ“  
სტუ-ის 2020 წლის 18 სექტემბრის №01-09-10/128 ბრძანებაში (შემდგომში ბრძანება) შეტანილ  
იქნეს ცვლილება და მისი მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სასწავლო კომპონენტში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) ჩატარდეს  
მე-11 სასწავლო კვირაში – 2020 წლის 07 დეკემბრიდან 12 დეკემბრის ჩათვლით, პირველი –  
მე-8 კვირებით გათვალისწინებული თამატიკის ფარგლებში; მიმდინარე აქტივობები შეფასდეს  
შესაბამის სილაბუსში მითითებულ კვირებში, დოკუმენტური მასალის ჩაბარება მოხდეს მე-16 –  
მე-19 კვირებში (შესაბამის დასკვნით გამოცდამდე), მიმდინარე აქტივობების აღდგენა მოხდეს  
მე-17 კვირაში, 2021 წლის 25 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით, დასკვნითი გამოცდები  
ჩატარდეს 2021 წლის 01 თებერვლიდან 13 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი  
გამოცდები – 2021 წლის 15 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით (იხ. დანართი 1).“

2. შეტანილ იქნეს ცვლილება ბრძანების პირველ დანართში და იგი ჩამოყალიბდეს დანართში  
წარმოდგენილი სახით.

3. ბრძანებას დაემატოს მე-6<sup>1</sup> და მე-6<sup>2</sup> პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„6<sup>1</sup>. მე-8 – მე-10 კვირებში, 2020 წლის 16 ნოემბრიდან 05 დეკემბრის ჩათვლით, მოხდეს სილაბუსით გათვალისწინებული ყველა ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოს შესრულება. მე-12 კვირიდან, 2020 წლის 14 დეკემბრიდან, სასწავლო პროცესი წარიმართოს 100%-ით ონლაინ/დისტანციურ რეჟიმში.“

„6<sup>2</sup>. სწავლების დეპარტამენტმა უზრუნველყოს სასწავლო ცხრილის მომზადება ბრძანების მე-6<sup>1</sup> და მე-7 პუნქტების მოთხოვნების გათვალისწინებით.“

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს (ლ. კლიმიაშვილს).

5. ბრძანება ძალაში შევიდეს 2020 წლის 16 ნოემბრიდან.


6. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

რექტორი

დავით გურგენიძე

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
რექტორი დავით გურგენიძე



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2020-2021 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის სასწავლო გრაფიკი  
(გარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა)

სწავლების საფეხური	28 სექტემბერი - 03 ოქტომბერი	05 -10 ოქტომბერი	12 - 17 ოქტომბერი	19-24 ოქტომბერი	26 -31 ოქტომბერი	02 - 07 ნოემბერი	09 - 14 ნოემბერი	16-21 ნოემბერი	23 - 28 ნოემბერი	30 ნოემბერი - 05 დეკემბერი	07 - 12 დეკემბერი	14 - 19 დეკემბერი	21 - 26 დეკემბერი	28 - 31 დეკემბერი	01 - 07 იანვარი	08 - 09 იანვარი	11 - 16 იანვარი	18 -23 იანვარი	25 -30 იანვარი	01 -06 თებერვალი	08 -13 თებერვალი	15 -20 თებერვალი
კვირა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XIII	XIV	-	XIV	XV	XVI	XVII	XVIII	XIX	XX
<b>სასწავლო კომპონენტი</b>																						
ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; დოქტორანტურა	სააუდიტორიო მეცადინეოები, მიმდინარე აქტივობები							სააუდიტორიო მეცადინეოები (ძირითადად ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეოები), მიმდინარე აქტივობები	შუასემესტრული გამოცდები (არსებობის შემთხვევაში)	სააუდიტორიო მეცადინეოები, მიმდინარე აქტივობები	საშობაო არდადეგები	სააუდიტორიო მეცადინეოები, მიმდინარე აქტივობები	სააუდიტორიო მეცადინეოები, მიმდინარე აქტივობები, დოკუმენტური მასალის ჩაბარება	მიმდინარე აქტივობების აღდგენა, დოკუმენტური მასალის ჩაბარება	დოკუმენტური მასალის ჩაბარება, სესიები (დასკვნითი გამოცდები)	დამატებითი გამოცდები						
<b>სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი</b>																						
მაგისტრატურა; დოქტორანტურა (გარდა “დისერტაციის დასრულება და დაცვისა”)	კვლევა							კვლევა	საშობაო არდადეგები	კვლევა	დოკუმენტური მასალის ჩაბარება	დოკუმენტური მასალის ჩაბარება, სესიები (განხილვა, სამაგისტრო ნაშრომის დაცვა)	-									
დოქტორანტურა (“დისერტაციის დასრულება და დაცვა”)	დისერტაციის დასრულება							დისერტაციის წინასწარი დაცვა	დისერტაციისა და ავტორეფერატის წარდგენა სადისერტაციო საბჭოში	საშობაო არდადეგები	მზადება დისერტაციის დაცვისთვის	დისერტაციის დაცვა	-									